საიას ახალი თავმჯდომარე ჰყავს

2014 წლის 23 დეკემბრს ახლგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით საიას ახალ თავმჯდომარედ ანა ნაცვლიშვილი აირჩიეს. ანა ორგანიზაციის რიგით მე-11 თავმჯდომარეა. საიას წესდების თანახმად თავმჯდომარე ყოველწლიურად აირჩევა გამგეობის შემადგენლობიდან.

ამ თანამდებობაზე ანა ნაცვლიშვილი კახა კოჟორიძეს შეცვლის, რომელიც ასოციაციას 2012-2014 წლებში ხელმძღვანელობდა.

ამავდროულად არჩევნები ჩატარდა საიას ქუთაისის ფილიალში, სადაც მეორე ვადით თავმჯდომარედ გიორგი ჭიქაბერიძე აირჩიეს.

წარმოგიდგენთ საიას ახალი თავმჯდომარის მოკლე ბიოგრაფიას:

განათლება

2011-2012 წლებში სწავლობდა ესექსის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი), მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში (LLM with Distinction);
2006-2007 წლებში სწავლობდა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (უნგრეთი), მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი ადამიანის უფლებათა სამართალში;
2002-2006 წლებში სწავლობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
2003-2004 წლებში გაიარა საიას იურიდიული განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის ერთწლიანი სასწავლო კურსი;

სამუშაო გამოცდილება

2013 წლიდან მუშაობს საიას საპარლამენტო მდივნად, ასევე კითხულობს ლექციებს

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში (GAU) და საიას სამართლებრივი განათლების ხელშეწყობის ფონდში;
2012-2013 წლებში მუშაობდა ვენასა და პოლონეთში ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ეუთო) და ამავე ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისში (დიაუო) სპეციალისტად;
2011-2012 წლებში მუშაობდა დიდ ბრიტანეთში გარდამავალი პერიოდის სამართლის ქსელში(ETJN) ასოცირებულ მკვლევარად;
2011 წელს მუშაობდა საქართველოში, საერთაშორისო ორგანიზაცია □□□□□□ საერთაშორისო რეფორმის A (PRI) კავკასიის ოფისში რეგიონალური პროექტის კორდინატორად;
2008 - 2010 წლებში მუშაობდა საქართველოში, ადამიანის უფლებათა ცენტრში (HRIDC) რეგიონული პროექტის კოორდინატორად;
2007-2008 წლებში, ადამიანის უფლებათა მესამე ათასწლეულის პროგრამის ფარგლებში, სტაჟირება გაიარა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია □□□□□□□□ 19 A□ ში, დიდ ბრიტანეთში და კვაზულუ-ნატალის უნივერსიტეტის სამართლის კლინიკაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში;
ანა არის არაერთი კვლევის ავტორი და თანაავტორი, სხვადასხვა დროს ექსპერტის რანგში თანამშრომლობდა ადამიანის უფლებათა სახლების ქსელთან, ეუთო/დიაუოს ოფისთან, ადამიანის უფლებათა დანიის ინსტიტუტთან, საერთაშორისო ორგანიზაცია Front Line Defenders-თან და სხვ.

2014 წელს არჩეულ იქნა საიას თავმჯდომარედ.